

საექსპერტო დასკვნა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, ს/კ 81.07.04.1095 მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული რკინის ნაკეთობების საწყობის (მშრალი, არაალეზირებადი მასალები) არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე და ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებასთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

დამკვეთი: შპს „ალტრიქს ლოჯისტიკა“ ID 402342504

დირექტორი: კახა ჭოველიძე ID 01010002946

პროექტის მთავარი არქიტექტორი: გიორგი დათუკიშვილი ID 01008046553

თბილისი 2025

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის **2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას** და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული **ტერმინები შეესაბამება** შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და **უნდა განიმარტოს** აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა **დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე** დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლოატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურულ პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამოაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლოატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა **არქიტექტორმა გიორგი დათუკიშვილმა**. საპროექტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია.

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ “საქართველოს მთავრობის **2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების** საფუძველზე განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.
- საქართველოს მთავრობის **2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით** დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;**
- საქართველოს მთავრობის **2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“** საქართველოს მთავრობის **2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში** ცვლილებების შეტანის შესახებ.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია **სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტი**, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს);
2. შენობა-ნაგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს;
3. სიტუაციურ სქემას;
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას;
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას – 1:500 მ;
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი საპროექტო ობიექტების გენერალურ გეგმას (გენ.გეგმა);
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს;
8. ყველა სართულის გეგმას, კრილებს, ფსადებს;
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს;
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასასვლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმდეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს);
11. შენობის ვიზუალიზაციას.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის **2019 წლის №255 დადგენილების 47-ე მუხლის** მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოთ აღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

საექსპერტო დასკვნები საქართველოს მთავრობის **2019 წლის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის** მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6. მისაწვდომობის შეფასებას;
7. ტექნიკური რეგლამენტი - “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებთან” შეფასებას;
8. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
9. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასებას;
10. სახურავის ანაწყოების შეფასებას;
11. ცეცხლმდეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
12. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
13. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
14. ლიფტების შეფასებას;
15. ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას.

შინაარსი

წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება, ს/კ 81.07.04.1095 მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული რკინის ნაკეთობების საწყობის (მშრალი, არაალეზაბი მასალები) არქიტექტურული პროექტის ნახაზები. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებისა და 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ის დადგენილებასთან შესაბამისობა და სისწორე.

განმარტება

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების

წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41

დადგენილებაში ცვლილებების შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის

დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების

წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების V თავის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № 1- განმარტება

წესები - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“

პროექტის ზოგადი აღწერილობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, **81.07.04.1095** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

მიწის ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო - სამეურნეო, საერთო ფართობი - **9163.00 კვ.მეტრი**. მიწის ნაკვეთს დასავლეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთით - სერვიტუტით რეგისტრირებულ გზა. საპროექტო ტერიტორიაზე მიმოსვლა ხორციელდება სერვიტუტით რეგისტრირებულ გზის საზღვრებში. რაც შეეხება საპროექტო შენობასთან სახანძრო მანქანის მისადგომი გზების რაოდენობას,

ადგილმდებარეობას და სხვა პარამეტრებს, აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია წესების 915 ქვეთავზე დაყრდნობით, რომლის შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია რკინის ნაკეთობების საწყობის (მშრალი, არაალეხადი მასალების საწყობი) მშენებლობა, ასევე საწყობის შენობაში II სართულზე გათვალისწინებულია მისი მომსახურე საოფისე ნაწილის მოწყობაც.

ორსართულიანი საწყობის საპროექტო ეზოში დაგეგმარებულია ცალკე მდგომი - წყლის ტუმბოს შენობა და გენერატორი, რომელიც ორსართიანი ხანძარმედეგი კედლითაა შემოზღუდული.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირისთვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა შეიფუთება სენდვიჩ - პანელების ფილებით. გარე კედლებისა და სახურავის ანაწყობებთან მიმართებაში ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-10 და მე-11 თავში.

სართულების აღწერა:

+0,11 (I სართული) დაგეგმარებულია სასაწყობე სივრცე და ადმინისტრაციაში ასასვლელად კიბის უჯრედის სივრცე ლიფტით, მიმღები და საწყობის სველი წერტილები, მაშ შორის 1 შშმპ-სთვის. II სართული მთლიანად ადმინისტრაციულ (საქმიან) სივრცეებს ეთმობა. საოფისე და სასაწყობე სივრცე ერთმანეთისგან გამიჯნულია ერთსართიანი ხანძარმედეგი კედლით და ორსართიანი სართულშუა გადახურვით. შენობაში შესვლა ხორციელდება შშმპ-ის პანდუსებით და კიბის მეშვეობით. II სართულზე ასვლა ხორციელდება კიბის უჯრედით და შშმპ-ზე ადაპტირებული ლიფტის მეშვეობით. ცალკე მდგომ შენობა - ნაგებობაში (გენერატორი, ტუმბოს ოთახში შესვლა / გამოსვლა ხორციელდება მიწის ზედაპირის დონიდან ყოველგვარი ამაღლების / დაბრკოლების გარეშე.

გამოკვლევა

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (+0,11 ნიშნულზე)

ფართი შეესაბამება 311.3 ქვეთავს.

მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2. ლითონის მასალის სხვადასხვა ნაკვეთობების შესანახი საწყობი, ამ ჯგუფს განეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველი მასალების სასაწყობო სივრცეები.

საქმიანი ჯგუფი სქ (+0,11 და +6,90 ნიშნულზე)

აღნიშნული ფართი შეესაბამება 304.1 ქვეთავს.

საქმიან ჯგუფს განეკუთვნება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად განკუთვნილი სივრცეები.

შენიშვნა: იმის გათვალისწინებით, რომ თავშეყრის მიზნით გამოყენებული საკონფერენციო და შეხვედრების ფართობი არ აღემატება 70 კვ.მ-ს, ხოლო დაკავებულობის დატვირთვა 50-ს, აღნიშნული სივრცეები კლასიფიცირებულია როგორც სქ ჯგუფი და არა თვ ჯგუფი 303.1.2 ქვეთავის თანახმად.

დამხმარე ჯგუფი დს (+0,00 და +6,90 ნიშნულებზე)

აღნიშნული ფართი შეესაბამება 312.1 ქვეთავს.

დამხმარე დანიშნულების შენობები, ნაგებობები, რომელიც უნდა აიგოს, აღიჭურვოს და შენარჩუნდეს წესების მოთხოვნათა შესაბამისად, მათი დაკავების დროს ხანძრისა და სიცოცხლისათვის შესაძლო საფრთხის გათვალისწინებით, მოიცავს შემდეგს, მაგრამ არა მხოლოდ:

- ავზებს;
- კოშკებს.

დაკავებულობის ჯგუფის კლასიფიცირება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 3, ქვეთავი 311, 304 და 312 ქვეთავების მიხედვით.

შენიშვნაში არსებული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით. სწორად არის არჩეული სივრცის დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეს იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე, კერძოდ:

1. **სასაწყობე დაკავებულობისთვის (სწ-2)** მიკუთვნებულია საწყობის ფართობის სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია **46,5**-ზე.
2. **საქმიანი დაკავებულობისთვის (სქ)** მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია **9,3**-ზე.
3. **დამხმარე დაკავებულობისთვის (დს)** მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ტუმბო, გენერატორი) ფართობის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია **27,9**-ზე.

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავი 1004 და ცხრილი 1004.1.2-ის მიხედვით.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

შენობის კონსტრუქციული ტიპი განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს **503 ცხრილის** მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. **601 ცხრილში**) **I-B** კონსტრუქციის სახეობის ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს **601 ქვეთავს** შემდეგი სახით:

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო - 2 სთ.

გარე და შიგა მზიდი კედლები - 2 სთ.

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 2 სთ.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - 1 სთ.

(705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის მიხედვით).

არიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, თუმცა კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა - ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.

ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით, I-B ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის „კ-ა“, „1-8“ და „4-1“ ლერძებში საჭირო გახდა ერთსაათიანი გარე ცეცხლმედეგი კედლის უზრუნველყოფის ვალდებულება, კონკრეტულად „4-3“ ლერძში არსებული გარე კედლის ერთსაათიანი ცეცხლმედეგობა განპირობებულია სასაწყობეს და მის წინ არსებულ ცალკე მდგომ შენობა-ნაგებობამდე მცირე მანძილის გამო (ფუნქციით - გენერატორი, ტუმბო).

კონსტრუქციული ტიპი დადგენილია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, და თავი 5, ქვეთავი 503 და ცხრილი 503-ის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული I-B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ სცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს.

საპროექტო ორსართულიანი შენობის სიმაღლე სახანძრო მანქანისთვის გზიდან - მიწის დონიდან არის 13,46 მეტრი ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 2, ქვეთავი 202; თავი 5, ქვეთავი 503; ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

საპროექტო შენობაში გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნებს კერძოდ:

საწყობის სივრცის დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე მინიმუმ **ესაჭიროება ორი გასასვლელი, (500 დამკვეთებზე ნაკლებია დაკავებულობის დატვირთვა)** რაც წარმოდგენილი პროექტით **დაცულია ორი გზა - კარის და დამატებით ერთი გზა-დერეფნის სახით,**

ლიფტი ემსახურება შენობის ყველა სართულს.

საოფისე სივრცის დაკავებულობის დატვირთვა და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი შეესაბამება **1021.2(2), 1014.3 და 1015.1 ცხრილის** მოთხოვნებს. შესაბამისად აღნიშნულ სივრცეს **მოეთხოვება ორი გზა-კიბე. წარმოდგენილი პროექტით** მითითებულ სივრცეს ემსახურება **ორი გზა-კიბე, აქედან 1 გარე (სახანძრო) გზა-კიბეა („7-8” ლერძში). საჭირო გზა-კიბე (სახანძრო გარე კიბე) გადის პირდაპირ შენობის გარეთ, შიდა გზა-კიბის უჯრედი +0,11 ნიშნ.-ზე უკავშირდება დერეფანს და შემდგომ გარე სივრცეს.**

კიბის უჯრედი არ საჭიროებს შემოზღუდვას რადგან მხოლოდ ორ სართულს აერთიანებს.

საწყობის სივრცეში **მინიმუმ ორ გასასვლელ კარს შორის** დაცულია სივრცის მაქსიმალური **დიაგონალის ნახევარზე მეტი მანძილი,** რაც აკმაყოფილებს **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების **(დერეფნის)** გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკვეთებზე **5,1 მმ-ია.**

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი - სიგანე უტოლდება სულ მცირე **1.50 მეტრს რაც 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე ნმეტია (1.20 მეტრზე).**

გასასვლელი საშუალების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად. დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე **5,1 მმ-ია**. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია **1008.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (**0.82 მეტრის სახით**). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომი კარის თავისუფალი სიგანე **0.88 მეტრია**.

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ **1016.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ვინაიდან შენობა ორსართულიანია, სახურავის დონეზე კიბის საშუალებით მიდგომა არ არის საფალდებულო, შესაბამისად აკმაყოფილებს **1009.16 ქვეთავის** მოთხოვნებისა.

გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება **1008.1.2 ქვეთავის** მოთხოვნას.

გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი აკმაყოფილებს **1016.2 ცხრილით** განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

საერთო სავალი ბილიკი აკმაყოფილებს **1014 ქვეთავის** მოთხოვნებს.

თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, **1011.1 ქვეთავის** თანახმად, გასასვლელის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება **1011.4 ქვეთავის** მოთხოვნას.

გასასვლელები აკმაყოფილებს **1017 ქვეთავის** მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 7, ქვეთავი 716; თავი 9, ქვეთავი 909;

თავი 10, ქვეთავები 1004, 1008, 1015, 1016, 1018 და 1021; ცხრილები 1004.1.2, 1016.2 და 1021.2(1)

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

შენობის მომსახურე შიდა და გარე გზა - კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე. რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკვეთელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია როგორც 1009.4 ქვეთავით, ისე 1007.3 ქვეთავით განსაზღვრული მოთხოვნა და გზა - კიბის სიგანე სახელებს შორის და აღემატება 1.20 მეტრს.

კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 30 სმ-ით, ხოლო ამღლება 17 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

გზა - კიბის ბაქნები აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, 1009.10 ქვეთავის თანახმად.

კიბის სახელები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1003, 1005, 1008, 1009, 1012, 1013 და 1018.

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება

1103.1 ქვეთავის თანახმად დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, **მისაწვდომი** უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია.

მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობის ყველა შესასვლელამდე თანახმად **1104 ქვეთავისა**.

1104.5 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკია. შენობის გარეთ არსებული კიბის და შშმპ-ის ზომები პროექტში დეტალურად არის წარმოდგენილი და აკმაყოფილებს **1008 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საოფისე და სასაწყობე სართულების სივრცეებში დაპროექტებულია შშმპ-ზე ადაპტირებული სველი წერტილები. შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი **ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით**, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს **1109.7 ქვეთავის** მოთხოვნებს.

მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

გარე ავტოსადგომის საზღვრებში განთავსებულია ავტოსადგომი სივრცეები და მათგან **1 ცალი სადგომი მისაწვდომია**, რაც შეესაბამება **1106.1 ცხრილის მოთხოვნას**. მისაწვდომი ავტოსადგომი უმოკლეს მანძილზეა განთავსებული შენობის მომსახურე მისაწვდომი შესასვლელიდან, რაც შეესაბამება **1106.6 ქვეთავის** მოთხოვნას.

შენობაში უზრუნველყოფილია **მისაწვდომი ტუალეტის ოთახები**, რაც შეესაბამება **1109.2 ქვეთავის** მოთხოვნას. ტუალეტის ოთახების მისაწვდომობისადმი მოთხოვნები შეესაბამება მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს.

შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის **მისაწვდომი გასასვლელი საშუალება**, რაც შეესაბამება **1007.1 ქვეთავის მოთხოვნას**. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს **მისაწვდომ სვლაგეზს და მისაწვდომ პანდუსს**, რაც შეესაბამება **1007.2 ქვეთავის** მოთხოვნას.

საპროექტო შენობაში სასაწყობე და საერთო სარგებლობის დერეფანი **ნიავედება კვალგამწოვი ვენტილაციის სისტემით, საოფისე სივრცეები კი ბუნებრივად ფანჯრებისა საშუალებით, გარე** გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი **იატაკის ფართობის 5%-ს.** ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და **1206 ქვეთავის** შესაბამის ეზოში.

ყოველივე აღნიშნული შეესაბამება **1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.**

ცალკე მდგომი შენობას (გენერატორი, ტუმბოს ოთახი) აქვს ღიობი მუდმივი განიავებისთვის.

+0,11 ნიშნულზე 1 და +6,90 ნიშნულზე 1 მისაწვდომი ტუალეტი, რაც აკმაყოფილებს **1109.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომობას სართულზე. **ტუალეტის ოთახები ნიავედება მექანიკურად.**

დაკავებული სართულის ჭერის სიმაღლე არ არის **2.3 მ-ზე ნაკლები** რაც შეესაბამება **1208.2 ქვეთავს.**

ეზოები აკმაყოფილებს **1206 ქვეთავის** მოთხოვნებს.

გენერალურ გეგმაზე და I სართულის გეგმაზე შენობის გარეთ ასახულია შშმპ-ის პანდუსი. **პანდუსის ქანობი არ აღემატება 1:12-ს. პანდუსის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის აღემატება 90 სმ-ს.**

ბაქნის თავისუფალი სიგრძე **უტოლდება 150 სმ-ს.**

პანდუსის ქანობი აკმაყოფილებს **1010 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი;

-სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 11, ქვეთავი 1106, 1109, ცხრილი

1106.1. თავი 10, ქვეთავი 1010.

7. **ტექნიკური რეგლამენტი - “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებთან” შეფასება;**

ტექნიკური რეგლამენტი - “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები”

მისაწვდომი სვლაგეზი

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს **1:20 დახრილ** სავალ ზედაპირებს, პანდუსსა და კარებს, რაც შეესაბამება **402 2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში იატაკის ზედაპირები, თავისუფალი და მოსატრიალებელი სივრცეები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს **მე-3 თავის** დებულებებს.

შენობის ყველა სართულზე მოწყობილი იატაკი არის **მდგრადი და არასრიალ მასალით** დაფარული. დონეთა ცვლილება შეესაბამება 302 და 303 ქვეთავებს.

თითოეულ მისაწვდომ სივრცეში მოწყობილია **304.3.2.1 ქვეთავის** მიხედვით **T ფორმის** მოსატრიალებელი სივრცეები **1600 მმ.** სიგანისაა. ყველა მოსაბრუნებელი სივრცე აკმაყოფილებს **304 ქვეთავის** მოთხოვნებს.

იატაკის თავისუფალი სიგანე შენობის ყველა მისაწვდომ სივრცეში აკმაყოფილებს **305.3.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

თავისუფალი სივრცე მუხლის სიმაღლემდე და ფეხის ფალანგისთვის აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ყველა შესაბამის მოწყობილობასთან დანადგართან და ავეჯთან გათვალისწინებულია **306 ქვეთავით** მოთხოვნილი სივრცეები.

მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება **403 ქვეთავის** მოთხოვნებს.

კერძოდ:

საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი **სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი**, თანახმად **403.3 ქვეთავისა**.

მისაწვდომი სვლაგეზის **მინიმალური** თავისუფალი სიგანე შენობის გარეთ შეადგენს **სულ მცირე - 1200 მმ-ს**, რაც შეესაბამება **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

მისაწვდომი სვლაგეზის **მინიმალური** თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება **არანაკლებ 900 მმ-ს**, რაც აკმაყოფილებს **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნას.

სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს **90 გრადუსიან ბრუნს**, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს **403.5.3.1 ქვეთავით** განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

მისაწვდომი კარები:

კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული არცერთი გზა-კარის თავისუფალი სიგანე **არ არის 820 მმ-ზე ნაკლები**, რაც შეესაბამება **4.04.2.2 ქვეთავის** მოთხოვნას.

მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა - კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე **4.04.2.3.2 და 404.2.3.4 ცხრილების** შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება **302-ე ქვეთავს** და მათი ზედაპირი **არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი**. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება **404.2.3.1 ქვეთავების** მოთხოვნებს.

კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს **1000 მმ სიმაღლეზე**, რაც შეესაბამება **1106.5 ქვეთავის** მოთხოვნას.

სპეციფიკაციების თანახმად, თითოეული კარის ზღურბლის გარეშეა.

საპროექტო შენობის II სართულზე მისაწვდომი სვლაგეზი უზუნველყოფილია ლიფტის მეშვეობით, რომლებიც აკმაყოფილებს სტანდარტების 407-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

პანდუსი:

პანდუსი, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს.

კერძოდ:

პანდუსის დახრა არ არის 1 / 12-ზე მეტი. რაც შეესაბამება 4.05.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

ქანობი, რომელიც იზომება პანდუსის სავალი მმართულების პერპენდიკულარულად, არ აღემატება 1:48-ს, რაც შესაბამისობაშია 405.3 ქვეთავის მოთხოვნებთან.

პანდუსის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის აღემატება 900 მმ-ს. რაც შესაბამისობაშია 405.5 ქვეთავთან.

პანდუსის თითოეული სვლის ამალემა არ აღემატება 750 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.6 3 ქვეთავთან.

პანდუსის თავსა და ბოლოში უზრუნველყოფილია ბაქნები. ბაქნები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი და მათი ზედაპირები შეესაბამება 302-ე ქვეთავს. ბაქნების ზომა, როგორც გრძივი, ასევე განივი არანაკლებ 1500 მმ-ს შეადგენს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 405.7 – 405.7.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვინაიდან პანდუსის ამალემა ცდება 150 მმ-ს, პანდუსს ემსახურება სახელურები. რაც აკმაყოფილებს 405.8 ქვეთავის მოთხოვნებს. თავის მხრივ სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავს.

პანდუსის კიდეები დაცულია ორივე მხარეს, რაც შეესაბამება 405.9 ქვეთავის მოთხოვნას, პანდუსის კიდეებია დაცულია 1,10 მეტრი სიმაღლის მოაჯირებით, სადაც არ ეტევა 10 სმ- იანი დიამეტრის სფერო.

ადგილის და შენობის ელემენტები:

მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის **28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე**. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების” **მე-5 თავის** დებულებებს, კერძოდ:

მისაწვდომი ავტოსადგომის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომის **გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს**, ხოლო მისი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელი აღნიშნულია გრაფიკულად გასავლელში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს **502.4 - 502.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ავტოსადგომი სივრცე და მისაწვდომი გასავლელი შეესაბამება **302 ქვეთავს** და მათი ზედაპირები **არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი**. მისაწვდომი გასავლელი იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია რაც შეესაბამება **502.5 ქვეთავის** მოთხოვნას.

წყალსადინარი ელემენტები და მოწყობილობები:

შენობებში განთავსებული მისაწვდომი **ტუალეტები** შეესაბამება **603 ქვეთავის** მოთხოვნებს, კერძოდ:

ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია **T ფორმის მოსატრიალებელი სივრცე**, რაც შეესაბამება **603.2.1 და 304.3.2.1 ქვეთავების** მოთხოვნას.

ტუალეტის ოთახის კარი გაღებისას არ იჭრება მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება **603.2.2 ქვეთავს**.

ტუალეტის ოთახში განთავსებული **უნიტაზი** შეესაბამება **604 ქვეთავის** მოთხოვნებს.

კერძოდ:

უნიტაზები განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია **405 მმ-ით**. რაც შეესაბამება **6.04.2 ქვეთავის** მოთხოვნას.

შენობებში მოწყობილ მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებულ უნიტაზებთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე **1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით**, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს **604.3 ქვეთავის** მოთხოვნას.

უნიტაზების დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია **430 მმ-ზე** იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება **604.4 ქვეთავს**.

მისაწვდომ ტუალეტებში განთავსებული უნიტაზისთვის მოწყობილია **ხელმოსაჭიდი ძელები**, რაც აკმაყოფილებს **604.5. ქვეთავების** მოთხოვნებს.

ტუალეტის ოთახებში განთავსებული **ხელსაზანი** შეესაბამება **606 ქვეთავის** მოთხოვნებს.

კერძოდ:

ხელსაზანებთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე **606.2 და 305.3.1 ქვეთავების** შესაბამისად.

ხელსაზანების განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია **606.3 ქვეთავის** მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

ნიშნები:

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის **28.01.2016 წლის #41 - ე დადგენილების მოთხოვნები** შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

შენობიდან გარე სივრცეში გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - **„გასასვლელი/EXIT“**. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება **703.3 და 703.4 ქვეთავების** მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.

მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტების ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამოზურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

ამოზურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამოზურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასოზგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით. თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება. სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 და 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

ამოზურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ). 703.3.12 ქვეთავის თანახმად.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება **703.2.4 ცხრილს**.

სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება **703.2.10 ქვეთავის** მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი **703.4.1 ქვეთავის** თანახმად.

ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება **703.4.3 ცხრილს**.

ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება **703.4.4 ქვეთავს**.

ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება **703.4.5 ქვეთავს**.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება **703.6 ქვეთავის** მოთხოვნებს.

კერძოდ:

მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, **703.6.2 ქვეთავის** თანახმად.

მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება **703.6.3.1 სურათს**.

მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება **703.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

კერძოდ:

სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება **703.2.4 - 703.2.8 ქვეთავების** მოთხოვნებს. ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება **703.2.4 ცხრილს**. სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება **703.2.10 ქვეთავის** მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამოზურცული სიმბოლოები შეესაბამება **703.3 ქვეთავის** მოთხოვნებს, კერძოდ: ამოზურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამოზურცულია **703.3.2 ქვეთავის** შესაბამისად. ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასო - ბგერებით, **703.3.3 ქვეთავის** თანახმად.

ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით **703.3.4 ქვეთავის** თანახმად.

შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია **703.3.5 - 703.3.9 ქვეთავების** შესაბამისად. სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება **703.3.10 ქვეთავის** მოთხოვნას. ამოზურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება **703.3.11 ქვეთავის** მოთხოვნებს.

